ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №684074

ნომერი: AR1129271

თარიღი : 02.05.2013

გაცემის თარიღი : 14.05.2013

გაცნობის თარიღი : 15.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

აკაკი წერეთლის გამზ. 141ა მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ ყარასაშვილი პ/ნ 01032004026
- ქ.თბილისი, ორხევის დასახ. სააკაძის ქ. 15ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 10 მაისის №AR1129271 განცხადება აკაკი წერეთლის გამზირზე, #141ა–ს მიმდდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ ფოტოსურათზე მონიშნულ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფის მოწყობის თაობაზე და გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, მუხლი #66-ის პუნქტი #6-ის და მუხლი #17-ის პუნქტი #2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა), შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე, #141ა–ს მიმდდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ თქვენს მიერ ფოტოსურათზე მონიშნულ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფის (4 მაგიდა – სკამებით და ქოლგებით) მოწყობაზე ნებართვის გაცემა თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის და ფოტომონტაჟის შესაბამისად (4 მაგიდა–სკამებით და ქოლგებით) 2013 წლის 1 დეკემბრამდე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge